შეთანხმება N1
/სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ნექსია თიეი აკადემია“ -ს შორის
2022 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული N76 ხელშეკრულებაში
ცვლილების განხორციელების შესახებ/

თბილისი ,,30“ დეკემბერი 2022 წელი

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი მისი საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ქინქლაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
სახელმწიფო სახაზინო კოდი: 220101222 ა/ა 200122900

და მეორე მხრივ, **შპს „ნექსია თიეი აკადემია“** წარმოდგენილი მისი დირექტორის ბორის მეგრელიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),

ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შპს „ნექსია თიეი აკადემია“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მიმწოდებელმა ამ გარემოების შესახებ წარმოადგინა ცნობა შემოსავლების სამსახურიდან, ხოლო ხელშეკრულებაში და მიღება-ჩაბარების აქტში ღირებულება მითითებულია დღგ-ს გათვლისწინებით,

მხარეები შევთანხმდით, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ნექსია თიეი აკადემიას“ შორის, 2022 წლის 8 ნოემბერს გაფორმებულ N76 ხელშეკრულებაში და მის შესაბამისად 2022 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ N122 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული ღირებულების, ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით, განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 და 3.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   ,,3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 2880 (ორი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს.
   3.2. ხელშეკრულების ღირებულება ერთი მსმენელისათვის შეადგენს:720(შვიდასოცი)ლარს.“
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ნექსია თიეი აკადემია“-ს შორის 2022 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული N76 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელად.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და შპს „ნექსია თიეი აკადემია“-ს შორის 2022 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული N76 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.
4. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ხელშეკრულების შესაბამისად შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზეც და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხა ჩაითვალოს დღგ-ს გარეშე.
5. შეთანხმება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით ქინქლაძე	**ბორისი მეგრელიშვილი**
საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
Digitally signed by STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
Date: 2022.12.30 16:46:23 +04'00'

Boris Megrelishvili 54001013510
Digitally signed by Boris Megrelishvili
Date: 2022.12.30 13:54:51